პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 ოქტომბერი პარასკევი 1974

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 251 (16072)

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲬᲘᲜᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ-ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲐᲜ�გᲐᲠᲓᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ!

ᲡᲙᲙᲯ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲛᲝᲬᲕᲔᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

თბილისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ათი თვის გეგმა

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ თბილისის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება 1974 წლის, მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, 25 ოქტომბერს უპატაკეს ხამშობლოს პროდუქციის რეალიზაციის ათი თვის გეგმის ვადამდე შესრულება.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო, ფოლადთუჯსამსხმელო, შამპანური ღვინოების, კონიაკის ქარხნების, პირველი მაისის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკების, წინდის, № 3 სატრიკოტაჟო, ჩაისხაწონი ფაბრიკების, კერამიკული და ცხიმის კომბინატების კოლექტივებმა. (საქინფორმი).

საქართველოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ათი თვის გეგმა

რუსეთის ფედერაციის მრეწველობის მუშაკებმა გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და ვადამდე, 24 ოქტომბერს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მიმდინარე წლის ათი თვის გეგმა. ოქტომბრის ბოლომდე დამატებით იქნება რეალიზებული რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის პროდუქცია.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის, ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის, ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, შამპანური ღვინოების ქარხნის, კონიაკის ქარხნის, ჩაის საწონი ფაბრიკის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის, ცემენტის ქარხნის, აგრეთვე კომბინატ „საქქვანაზშირის“, ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის, ტრუსტ „ჭიათურმანგანუმის“, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, კასპის ცემენტის ქარხნის, გორის ბამბეულის კომბინატის, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის საწარმოთა კოლექტივებმა. (საქინფორმი).

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

საბჭოთა მეურნეობების მებოსტნეთა წარმატება

მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მეურნეობათა კოლექტივებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის ჯადაწყვეტილებებს და აღფოთოვანებული არიან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიღოცვით წვენი სახელოვანი მეჩაიეებისადმი, ახალი ძალით გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს კომპარტიის აცენტრალური კომიტეტის მოგავალი მე-14 პლენუმის აღსანიშნავად. მათ ვადამდე ორ თვე-ნახევრით ადრე შეასრულეს ბოსტნეულის, ბაღჩეულის, საადრეო კარტოფილისა და ყურძნის დამზადების გეგმა.

გეგმით გათვალისწინებული 73.115 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარდა 74.839 ტონა ბოსტნეული, მათ შორის 1.272 ტონა მწვანილი. მშრომელებმა მიიღეს 8.683 ტონა საადრეო კარტოფილი გეგმით გათვალისწინებული 8.450 ტონის ნაცვლად, 4.581 ტონა ბაღჩეული გეგმით გათვალისწინებული 4.533 ტონის ნაცვლად და 26.327 ტონა ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 21,358 ტონის ნაცვლად. ეს ბევრად მეტია, ვიდრე დამზადებული იყო შარშან.

ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა სამჯერ გადაუჭარბეს მოსკოვში, ლენინგრადსა და ბელორუსიის სს რესპუბლიკაში საადრეო კომბოსტოს, კარტოფილისა და პამიდორის გაგზავნის გეგმას. ამდენი პროდუქცია ტრესტმა პირველად დამზადა მთელი თავისი არსებობის მანძილზე.

გეგმის ვადამდე შესრულებაში დიდი წვლილი შეიტანეს არაფოთის საბჭოთა მეურნეობამ, რომელმაც დამზადა 10.00 ტონაზე მეტი ბოსტნეული, რუისბოლოს საბჭოთა მეურნეობამ — 8.000 ტონა, ვარდანის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ — 7.500 ტონა, ყაზაღანის საბჭოთა მეურნეობამ — 3.500 ტონა, ნარეკვავის საბჭოთა მეურნეობამ — 3.500 ტონა, არახლოს მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობამ — 7.000 ტონა საადრეო კარტოფილი და ზაუმიანის მეკვნასებლის საბჭოთა მეურნეობამ — 3.000 ტონა ყურძენი.

ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებაში საბჭოთა მეურნეობების მშრომელებს დიდი დახმარება გაუწიეს სამრეწველო საწარმოთა, ავტომაგრარულსპორტო მეურნეობათა კოლექტივებმა, დამამზადებელი ორგანოების მუშაკებმა, ქალაქ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა.

საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს წლის დამლევამდე სახელმწიფოს დამატებით მისცეს 8.000 ტონა ბოსტნეული, 1.500 ტონა კარტოფილი და 2.000 ტონა ყურძენი.

ამჟამად მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მეურნეობათა კოლექტივები ენერგიულად შრომობენ და ცდილობენ წარმატებით დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო წელი, შეასრულონ ახალი გადიდებული ვალდებულებანი, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების დავალება, უზრუნველყონ პირუტყვის ნორმალური ზამთრობა, შექმნან 1975—მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის უხვი მოსავლის მოწევის მყარი საფუძველი. ● (საქინფორმი).

საავტომობილო მრეწველობის მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მოპაძსახურეებს, ყველა მუშაკს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად უოფიცავენ საავტომობილო მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მშრომელებს საბჭოთა ავტომობილმშენებლობის ნასვავრი საუკუნის იუბილეს.

50 წლის წინათ, დიდი ოქტომბრის მე-7 წლისთავის დღესასწაულობის დღეს, ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქის წითელ მოედანზე გაიარა პირველმა ათმა საბჭოთა ავტომობილმა, რომლებიც დაამზადა ამოს ქარხანამ — ამჟამად მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანამ. მას შემდეგ საბჭოთა კავშირის საავტომობილო მრეწველობა პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის, ძოელი ჩვენი ხალხის თავდადებული შრომის მეოხებით ინდუსტრიის დიდადგანვითარებული დარგი გახდა. მას აქვს მძლავრი საწარმოო ბაზა და ჰყავს გამოცდილი კადრები, რომლებსაც უსარი შესწევთ წარმატებით გადაწყვიტონ დიდი სამეურნეო და მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანები.

პირველი ხუთწლედის პერიოდში ავტომობილმშენებლებმა დიდი წვლილი შეიტანეს სოციალისტური სამრეწველო წარმოების განვითარებაში და სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების შექმნაში. საბჭოთა ადამიანები ყოველთვის მადლიერი იქნებიან საავტომობილო მრეწველობის მშრომელებისა დიდი სამამული ომის წლებში ფრონტის შეკვეთების სანიმუშო შესრულებისათვის. ახლაც დარგის მშრომელები ძალ-ღონეს არ იშურებენ სამშობლოს ტექნიკური პროგრესის განვითარებისა და ეკონომიური პოტენციალის გამრავლებისათვის. 1971-1973 წლების დავალებები ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით წარმატებით რომ შეასრულეს, მათ ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმებისა და ვალდებულების ვადამდე შესრულებისათვის და თავისი იუბილესათვის კარგ მზადყოფნას მიაღწიეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ საავტომობილო მრეწველობის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, ყველა შრომითი კოლექტივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ძალ-ღონესა და შემოქმედებითს ენერგიას არ დაიშურებენ, რომ შეასრულონ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობასა და ახალ შრომითს წარმატებებს მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

უთუოდ შევასრულოთ საბინაო მშენებლობის წლიური გეგმა

წელს რესპუბლიკის ათიათასობით მშრომელმა იდღესასწაულა ახალმოსახლეობა. ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის ცხრა თვეში საქართველოს მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს 634,5 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. კარგად იმუშავეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს №№ 12, 13, 14 ტრესტების, ქუთაისის სახლთსამშენებლო კომბინატის, რესპუბლიკის სახოფლო მშენებლობის სამინისტროს №№ 1, 3, 4 ტრესტების, „ინჟმშენის“, „საქპიდროენერგომშენის“, ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტების, „თბილგაზობმშენის“ სამმართველოს კოლექტივებმა და სხვებმა.

მაგრამ რესპუბლიკის საბინაო მშენებლობაში 9 თვის მანძილზე ყველაფერი რიგზე როდია. ამ ხნის განმავლობაში საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა შესრულებულია 98 პროცენტით, ხოლო საბინაო მშენებლობის დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების გეგმა 93 პროცენტით. განსაკუთრებით ჩამორჩნენ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს №№ 1, 10 ტრესტები, რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტი, „კოოპმშენის“ ტრესტი, „საქნავთობის“ ტრესტის სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, მთელი რიგი სხვა სამინისტროები, უწყებები და ორგანიზაციები.

შექმნილი მდგომარეობის გამო სერიოზული შეშფოთება გამოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ თათბირზე, რომელზეც განიხილეს მიმდინარე წლის ცხრა თვეში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მუშაობის შედეგები.

ამ პერიოდში საბინაო მშენებლობის შედეგები და რესპუბლიკაში საცხოვრებელი ფართობის მშენებლობის წლიური გეგმის უთუოდ შესრულების ამოცანები განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე. თათბირში მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციათა, იმ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, რომლებიც საბინაო მშენებლობას ეწევიან, საპროექტო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ნ. ჩურკინმა.

თათბირზე აღინიშნა, რომ საცხოვრებელი ფართობის მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემაში ჩამორჩენა გამოიწვია უწესიერეს ყოვლისა იმან, რომ სათანადოდ არ არის ორგანიზებული მშენებელთა შრომა, შეუთანხმებლად მუშაობენ შემკვეთები და მოიჯარეები, საკმარისი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მინდობილ საქმეს, აგრეთვე იმისაც, რომ დაბალია მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონე, ხშირად ცუდი ხარისხისაა სამშენებლო კონსტრუქციები, რასაც გაპირობებს ის, რომ სამშენებლო ორგანიზაციები საკმარისად არ ზრუნავენ საკუთარი საწარმოო ბაზის განმტკიცებისათვის. ნაკლოვანებანია მომმარაგებელთა მუშაობაშიც.

ყველა ეს ხარვეზი, ითქვა თათბირზე, უნდა აღმოიფხვრას, რათა უთუოდ შევასრულოთ საბინაო მშენებლობის წლიური გეგმა. უფრო მეტიც, საჭიროა მთლიანად შევასრულოთ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების წლიური გეგმა, რათა შევქმნათ საკმარისი მარაგი ნამეტი მომავალი წლისათვის.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ს. ფხაკაძე, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. კობახიძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. ჭანბა, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. კოპლატაძე, საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნ. წოკლაური, საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ა. ლაკაია, რომლებმაც ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები საბინაო მშენებლობის წლიური გეგმის უთუოდ შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ნ. ა. მელქაროიაშვილი, გაერთიანება „მთავარმობილმშენის“ უფროსი ბ. ა. ზატუაშვილი, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ უფროსი შ. ე. ბუხრაშვილი, სხვა სამინისტროთა, უწყებათა და სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები შეეხნენ საბინაო მშენებლობის გეგმის შესრულების სიძნელეთა მიზეზებს და წამოაყენეს მთელი რიგი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ზუსტი რიტმი სამშენებლო მოედნებზე, აღთქმული საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ უთუოდ შესრულებენ საბინაო მშენებლობის წლიურ გეგმას.

თათბირზე განიხილეს და გადაწყვიტეს მშენებელთა მომმარაგების, საავტომობილო და რკინიგზის ტრანსპორტით მათი უწრუველყოფის, შრომის ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი.

თათბირის მონაწილეებმა იკისრეს ვალდებულება, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით დაამთავრონ ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის საბინაო მშენებლობის გეგმა, ამისათვის გამოიყენონ ყველა რეზერვი, აამაღლონ მუშაობის ორგანიზებულობა, კიდევ უფრო გაანმტკიცონ სახელმწიფო, საწარმოო და შრომის დისციპლინა.

თათბირის შედეგები შეაჯამა ა. ნ. ჩურკინმა.

თათბირში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ლაბახუა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე ი. ი. ქედიშვილი.

(საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

ლ. ი. ბრეჟნევი და ა. ა. გრომიკო ესაუბრნენ ჰ. კისინჯერს

24 ოქტომბერს კრემლში დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის ჰ. კისინჯერის საუბრები.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ ამ შეთანხმებათა თვალსაზრისით, რომლებიც მიღწეულია საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრების დროს.

საუბრებში, რომლებსაც საქმიანი და კონსტრუქციული ხასიათი ჰქონდათ, მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი გ. მ. კორნიეენკო, ამერიკის მხრივ — ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში უ. სტესელი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი ჰ. სონენფელდტი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე ა. ჰარტმანი, სახელმწიფო დეპარტამენტის პასუხისმგებელი თანამშრომლები უ. ლორდი და უ. ჰაილენდი. (საკვლევი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲘᲡᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ

ბედნიერთა შემოწმება და საქმის შაქტიური შესრულების შემოწმება — ეს, კიდევ ეს, მხოლოდ ეს არის აგებადად მთელი მუშაობის, მთელი კოლიტიკის ლერძი.

ვ. ი. ლენინი.

დავამკვიდროთ მუშაობაში პარტიული, ლენინური სტილი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შესაბამისად

მომავლის ნაბიჯები

კომუნისტი პედაგოგის პასუხისმგებლობა

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

მე ვარ და ჩემი ნაბადი

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. წიკლაური

„კომუნისტის“ 1974 წლის 11 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი „მე ვარ და ჩემი ნაბადი“. ამ წერილის გამო პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. წიკლაური რედაქციას ატყობინებს:

პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის ბიურომ თავის სხდომაზე განიხილა წერილში — „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ — მოყვანილი ფაქტები და გაზეთის კრიტიკა სწორად მიიჩნია.

ბიუროს სხდომაზე დადასტურდა, რომ განათლების განყოფილების გამგე ვ. ზექალაშვილი მეორე საშუალო სკოლის მასწავლებლის ნ. ტატაშვილისა და მ. მადუაშვილის მიმართ ტენდენციურობასა და სუბიექტივიზმს იჩენდა, აყენწროვებდა მათ.

მეორე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ნ. ტატაშვილი ვ. ზექალაშვილმა სრულიად უსაფუძვლოდ, ისე, რომ ეს პარტიის საქალაქო კომიტეტს არ დაუდგენია, განადგურების განყოფილების ბრძანებით მე-9 საშუალო სკოლაში გადაიყვანა სასწავლო ნაწილიდ გამგედ, ხოლო შემდეგ უკანონ დაბრუნა ამავე სკოლაში მასწავლებლად. ტენდენციურობის, სუბიექტივიზმის, ღონისძიებისა და ბევრწოვნების კიდევ ერთი მაგალითია განათლების განყოფილების გამგის დამოკიდებულება მასწავლებელ მ. მადუაშვილისადმი. ვ. ზექალაშვილი სისტემატურად ავიწროებდა მ. მადუაშვილს, აზვიადებდა მის მცირე ნაკლოვანებებსაც კი. მ. მადუაშვილის განცხადების საფუძველზე შეიქმნა კომისია, რომელმაც მ. მადუაშვილის საჩივარში მოყვანილი ფაქტები დაადასტურა.

მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებლებისადმი ვ. ზექალაშვილის ასეთი დამოკიდებულება იმის მედეგია, რომ სკოლის დირექტორი ლ. პაპუაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ჯ. გოგოლაძე თვალს ხუჭავდნენ, თითქოს ვერ ამჩნევდნენ სკოლაში შექმნილ არაჯანსაღ ატმოსფეროს. სკოლის კომუნისტებს შორის გამეფებული იყო თვითდამშვიდება, მოდუნება სიფხიზლე. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ აქ ზოგიერთ მოსწავლეს გადაუსწორეს ან აუმაღლეს ნიშნები, რაშიც ზოგჯერ თვით განათლების განყოფილების გამგე ვ. ზექალაშვილიც უშუალოდ მონაწილეობდა. განათლების განყოფილების გამგის ტენდენციურობამ თავი იჩინა მასწავლებელ ო. ოვჩარენკოს მიმართაც. ვ. ზექალაშვილის მოქმედა ო. ოვჩარენკოსადმი ზიზღი მხოლოდ მაშინ დაეღო, როდესაც სამეშვი პარტიის საქალაქო კომიტეტი ჩაერია.

თუმცა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში ერთგვარი წარმატებაა მიღწეული, ბევრს სკოლებში კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებები. მარტო 1972-73 სასწავლო წელს გორის სკოლებიდან 179 მოსწავლეთ გავიდა, ხოლო სიღამის სკოლებში მოსწავლეთა საერთო კონტინგენტი ამავე პერიოდში 27,3 პროცენტით შემცირდა.

ქალაქის მე-4 საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. გიგაია) გასულ სასწავლო წელს ორჯერ დაიკარგა საკლასო ჟურნალები. მათ შორის სამი — დამამთავრებელი კლასის ჟურნალი. ამ ფაქტს არავინ შეუშფოთებია, არც სკოლაში და არც განათლების განყოფილებაში პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს რეკომენდაციად მომჭირნეობის ნაკლებობა აღნიშნა, რომ გამოყოფილმა კომისიამ (ო. სოსანიძე, გ. ნამიჩიშვილი, დ. ქარელი, მ. წიწაკაშვილი) ზოგიერთი ფაქტის შეფასებაში არ გამოიჩინა სათანადო პრინციპულობა და ობიექტურობა, ღრმად არ ჩასწვდა საქმის ვითარებას.

ბიუროზე ამ საკითხის განხილვის დროს გამოვლინდა სხვა ნაკლოვანებებიც, რომელთა შესწავლა და განხილვა დავალებული აქვთ პარტიის გორის საქალაქო კომიტეტსა და ქალაქის საბჭოს აღმასკომის შესაბამის განყოფილებებს.

ბიუროს დადგენილებით ჭ. გორის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ვ. ზექალაშვილი სკოლებისადმი სუსტი ხელმძღვანელობის, პედაგოგებისადმი ტენდენციურობისა და სუბიექტური მიდგომისათვის, მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისათვის გათავისუფლებული თანამდებობიდან.

მეორე საშუალო სკოლის დირექტორი ლ. პაპუაშვილი, იმ დარღვევებისა და შეცდომებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა პედაგოგიურ კოლექტივში თვითდამშვიდება, კენესლობა, მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალური შეფასება, გათავისუფლებული თანამდებობიდან.

მე-4 საშუალო სკოლის დირექტორი ვ. გიგაია, სკოლაში გამეფებული უდისციპლინობისა და უწესრიგობისათვის, საკლასო ჟურნალების დაკარგვისათვის გათავისუფლდა თანამდებობიდან.

ქალაქკომის ბიუროს მე-4 საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაციის მდივანს ვ. ბანდალოვას, რომელმაც რეაგირება არ მოახდინა სკოლაში ჟურნალების დაკარგვის ფაქტზე, გამოუცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

საყვედური გამოეცხადა მეორე საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაციის მდივანს ჯ. გოგოლაძეს, რომელმაც გულგრილობა, თვითდამშვიდება გამოიჩინა და ვერ უზრუნველყო საჭირო წესრიგი, დისციპლინა, კომუნისტების დარაზმვა გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

განათლების განყოფილების ინსპექტორს ა. ლომსაძეს გამოეცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით, მე-4 საშუალო სკოლაში დაკარგული საკლასო ჟურნალების ფაქტის შესწავლის დროს გამოჩენილი უპრინციპობისათვის.

განათლების განყოფილებას დაეკალა შეისწავლოს და განიხილოს იმ მასწავლებლების საკითხი, რომლებმაც უპრინციპობა, ლიბერალიზმი გამოიჩინეს მოსწავლეთა ცოდნის შეფასების დროს. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხვა ღონისძიებებიც დასახა, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ქალაქის სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გაუმჯობესებას.

□ □

რედაქციას ანალოგიური პასუხი გამოუგზავნა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, რომელმაც ეს საკითხი პარტიის გორის საქალაქო კომიტეტთან ერთად შეისწავლა.

დაპირებები და სინამდვილე

რედაქციას უპასუხებს აკრტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი თ. იმედაძე

კურორტების — ბახმაროს და ნაბეღლავის კეთილმოწყობაში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილი „დაპირებები და სინამდვილე“. ამ წერილის გამო პარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი თ. იმედაძე რედაქციას ატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილი საკითხი — „დაპირებები და სინამდვილე“ — სწორია.

ბევრი სამინისტრო და უწყება შეუწყნარებლად ამჟღავნებს კურორტების — ბახმაროსა და ნაბეღლავის საკითხის შესახებ ზემდგომი ორგანოების 1968 წლის დადგენილების შესრულებას.

წლეულს პარტიის რაიკომის ბიურომ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით ორჯერ განიხილა კურორტ ბახმარო-ნაბეღლავში შექმნილი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის საკითხი და დასახა საჭირო ღონისძიებები, მაგრამ ამ სამინისტროებსა და უწყებებს დღემდე მუშაობა არ გარდაუქმნიათ. ამის გამო ამჟამად ჩვენს მიერ საკითხი დაყენებულია ზემდგომ ორგანოში.

ფეერმეზს — მეტი სპეციალისტი

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკვების დამზადების გეგმის შესრულება 21 ოქტომბრისათვის (პროცენტობით)

	სულ უხეში საკვები	თივა	სენაჟი	სხვა უხეში საკვები	მწ. სილოსი
		მათ შორის			
ახალქალაქის	91	93	102	75	33
ბოდანოვკის	89	92	102	69	58
ახალციხის	81	71	97	80	9
ადიგენის	113	39	173	53	18
ასპინძის	81	100	110	48	100
ხაშურის	101	124	125	87	40
ქარელის	90	86	135	87	84
გორის	112	121	177	87	57
კასპის	88	98	102	78	51
ბორჯომის	89	92	88	68	53
სოფარჯოს	106	120	101	98	59
გურჯაანის	119	100	233	101	135
სიღნაღის	108	119	146	95	89
ფიროსმანის	107	197	100	92	126
თელავის	115	105	138	113	52
ახმეტის	112	168	165	64	77
ყვარლის	118	93	152	112	44
ლაგოდეხის	84	50	104	91	33
გარდაბნის	111	140	113	76	80
მცხეთის	164	121	168	4-ჯერ	62
მარნეულის	110	99	121	114	56
გოლენისის	118	80	117	189	38
წალკის	75	63	141	50	52
დუშეთის	77	71	115	79	33
თეთრი წყაროს	103	104	142	71	93
თიანეთის	74	70	150	53	136
დმანისის	74	71	102	42	99
ყაზბეგის	78	78	—	—	—
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	66	59	91	70	18
ყაზალბეგის	46	119	88	26	78
სამგორელის	53	154	96	32	108
ფოლადაურის	40	97	54	28	102
ვანის	49	156	100	15	80
მაიაკოვსკის	76	156	102	50	104
ზესტაფონის	73	163	72	56	88
ცერაჯოლის	64	148	100	53	98
ჭიათურის საქალაქო					
საბჭო	75	167	77	54	85
საჩხერის	119	131	100	118	84
ორჯონიკიძის	66	155	70	30	90
ტყიბულის საქალაქო					
საბჭო	60	206	100	26	11
ონის	94	117	53	22	69
ამბროლაურის	80	111	52	45	37
ცაგერის	64	131	100	—	53
ლენტეხის	80	94	—	26	—
აბაშის	33	115	105	4	106
ცხაკაიას	60	85	61	20	100
გეგეჭკორის	62	111	137	45	79
ზუგდიდის	39	87	28	16	93
ხობის	48	103	104	9	102
წალენჯიხის	44	89	51	3	56
ჩხოროწყუს	51	111	95	16	55
მესტიის	42	99	50	—	95
ლანჩხუთის	72	109	126	7	95
ჩოხატაურის	57	109	54	19	87
მესტიის	86	92	—	35	—
აფხაზეთის ასსრ	42	105	84	—	52
აჭარის ასსრ	81	81	96	40	82
სულ	85	92	115	63	73

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდი პასუხისმგებლობით ემზადებიან პირუტყვის ბაგური შენახვისათვის. ბევრ ფერმას უკვე აქვს უხეში საკვების წელიწადნახევრის მარაგი, საკმაო რაოდენობის სილოსი. 31 რაოონმა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ, როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იტყობინება, შეასრულეს თავის დამზადების გეგმა. ახლა გაზრუნტულია სილოსის ჩადება. მთელ რიგ მეურნეობებში ეს მუშაობა ორგანიზებულად მიმდინარეობს. სილოსის ჩადების გეგმა შეასრულეს გურჯაანის, წითელწყაროს, თიანეთის, ახპინძის, სამტრედიის, წულუკიძის, მაიაკოვსკის, ბაშის, ცხაკაიასა და ხობის რაიონებმა. მაგრამ სილოსის ჩადება და უხეში საკვების დამზადებაც აქვს სათანადო ტემპით არ მიმდინარეობს. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება ახალციხის, ლაგოდეხის, წალენჯიხის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებს. უხეშ საკვებს ნელა ამზადებენ დუშეთის, დმანისის, ყაზბეგის, ზუგდიდისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

პირუტყვის წარმატებითი გამოზამთრების საფუძველთა საფუძველია საიმედო საკვები ბაზა. თბილი, მზიანი დღეები ხელსაყრელია საკვებდამამზადებლებისათვის. მათ უყელა პირობა და შესაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ თვითეულ ფერმას მჭონდეს სხვადასხვა საკვების საკმარისი მარაგი. საჭიროა კარგად შევინახოთ და რაციონალურად გამოვიყენოთ ფურაჟი. პირუტყვის საკმელად მისი კარგად მომზადება საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქციის გამოსავლიანობა. ამიტომ საკვების მარაგის შექმნასთან ერთად მეტად საჭიროა, რომ თვითეულ მეურნეობაში მათ ამზადებდნენ პირუტყვის საკმელად ტექნიკურ შესაძლებლობათა თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე. (საქინფორმი).



ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐᲨᲘ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲒᲐᲜᲣᲛᲘᲡ ᲢᲠᲔᲡᲢᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝᲠ ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲗᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲒᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲯᲒᲤᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲝᲗ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝᲠᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

ᲰᲐᲠᲚᲘ ᲙᲘᲡᲘᲜᯖᲔᲠᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ

ᲐᲓᲠᲔ მიღწეული შეთანხმების შესაბამისად 23 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ურთიერთსაინტერესო საკითხების განსახილველად.

ამერიკის შეერთებული შტატების და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ჰ. კისინჯერს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 24 ოქტომბერი. (საკდესი). უშიშროების საბჭომ თოხშაბათს თავის სხდომაზე დაადგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახლო აღმოსავლეთში განლაგებულ საგანგებო შეიარაღებულ ძალებს კიდევ ექვსი თვით, ე. ი. 1975 წლის 24 აპრილამდე გაუგრძელოს რწმუნებულებათა ვადა ამ რაიონში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარების გზების ძებნის საკითხებისათვის.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ შეუწყნარებელია ეგვიპტე-ისრაელის სექტორში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ცალკეული კონტინგენტების გადაჯგუფების თავისუფლების შეზღუდვა ეროვნული ნიშნის მიხედვით.

ჩინეთისა და ერაყის დელეგატებმა უარი თქვეს კენჭისყრაში მონაწილეობაზე.

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘ

ᲑᲐᲜᲒᲙᲝᲙᲘ, 24 ოქტომბერი. (საკდესი). გადაიყენეს საგარეო მარიონეტული მთავრობის 4 მინისტრი. აქ მიღებული ცნობებით, მათ შორის არის სამხრეთ ვიეტნამის დიქტატორის თხიეუს უახლოესი ნდობით აღჭურვილი პირი და ნათესავი ინფორმაციის მინისტრი ზოანგ დიე ნია.

მინისტრების გადაყენება მოხდა 10 პირიოდში, როცა დაიწყო სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის უფართოესი ფენების მეღელვარე გამოსვლები დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა აღდგენისათვის, საერთაშორისო რეჟიმის პოლიტიკის წინააღმდეგ, კორუფციის წინააღმდეგ, რაშიც ბრალს სდებენ მაღალი თანამდებობის პირებს. მათ შორის პირადად „პრეზიდენტ“ თხიეუსა და მისი ოჯახის წევრებს. მორიგი გადაყენ-გადმოყენება სამხრეთ ვიეტნამის მთავრობაში მოწმობს, რომ დიქტატორი თხიეუ თავის უახლოეს კარემოცვასაც კი არ ენდობა.

ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲘᲣᲯᲮᲘᲡᲖᲔ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 24 ოქტომბერი. (საკდესი). რეკვიზიციის ხრიკების მიმართ ხალხის ხიუხიზლის შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი ხალხებისა ამოცანაა ყველა პორტუგალიელისათვის, ეს განაცხადა პრუნსალატინის ხაგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში პორტუგალიის პრემიერ-მინისტრმა ვ. გონსალვეშმა.

სექტემბრის ამბების დროს, ხაზი გაუსვა პრემიერ-მინისტრმა, შეიარაღებული ძალების მოძრაობა და პორტუგალიელი ხალხი ჯეროვან სიმაღლეზე აღმოჩნდნენ, მათ არ დაუშვეს გადატრიალება, დაამარცხეს რეკვიზიციის ძალები და კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი კავშირი, რომელიც 25 აპრილს შეიქმნა.

ვ. გონსალვეშმა განაცხადა, რომ მთავრობა ითვალისწინებს ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლებს, რომელიც შეესაბამება ხალხის ინტერესებს. ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე გადადუდებული ამოცანაა, თქვა მან, — ბრძოლა ინფლაციისა და ცხოვრების ღირებულების მეტისმეტი ზრდის წინააღმდეგ. ამას გარდუვალად მოჰყვება ანტიმონოპოლისტური პოლიტიკის განხორციელება, რომელიც გათვალისწინებულია შეიარაღებული ძალების მოძრაობის პროგრამით. ამ ღონისძიებათა განხორციელება ბევრად შეამცირებს რეკვიზიციული ძალების საქმიანობის ასპარეზს.

ეკონომიკა, ინფლაცია და მოხმარებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, არანაირად არ იქნება დაფუძნებული ხელოვნურ-ლონალისტურ პოზიციებზე. მთავრობა ოპტიმისტურად უყურებს პორტუგალიის მომავალ დამოუკიდებელ განვითარებას ქვეყნებთან.

ხაზი გაუსვა რა, რომ შეიარაღებული ძალების მოძრაობის პროგრამამ შესაბამისად დროებითი მთავრობა საგარეო პოლიტიკაში ხელმძღვანელობს ხალხებს მეგობრობა თანასწორობისა და დამოუკიდებლობის, სხვა ქვეყნების საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებით და მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებით, ვ. გონსალვეშმა აღნიშნა, რომ პორტუგალიის მზად არის განაგრძოს მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა მსოფლიოს ყველა ხალხთან.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელები განაგრძობენ შეუპოვარ ბრძოლას თავიანთი უფლებებისათვის. თვალშეტია, რაც ბრძოლდება კამპანია „ლუნაიტედ პარსელ სერვისის“ მუშაობა გაფიცვა. ეს კამპანია უზრუნველყოფს ამანათებისა და ბანდეროლების გაგზავნას ამერიკის შეერთებული შტატების ალმოსავლეთ რაიონებში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: გაფიცულთა პიკეტი.

აპ-სკკდმსის ფოტო.

ᲤᲐᲜᲘᲙᲠᲔᲑᲘᲡ „ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑᲐ“

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. თემზის შესართავში „მოაწყვეს“ ნავთობსასხმელი ტანკერების შეჯახება მეორე გემთან. ექსპერიმენტის მიზანი იყო შეემოწმებინათ მოწყლობა და სპეციალური სამუალებანი, რომლებიც სპობენ ნავთობის ორთქლებს შედეგად წარმომხმილ აფეთქებებს, სპეციალისტების აზრით, გამოსაცდელი ტექნიკა ხელს შეუწყობს ინგლისის სანაპირო წყლების გაჭუჭყიანების შემცირებას, სადაც ხშირად ხდება ნავთობსასხმელი გემების ავარია.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲙᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ მთავრობის მოწვევით 24 ოქტომბერს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ზულფიკარ ალი ბუტო.

პაკისტანისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე პრემიერ-მინისტრს დახვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არსიპოვი, სსრ კავშირის მინისტრები ნ. ს. პატოლიჩევი, მ. ა. პროკოფიევი, ა. ვ. სიდორენკო, ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ხ. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ბ. ფირიუბინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ფუნქციონერის გამგე დ. ხ. ნიკიფოროვი, სხვა ოფიციალური პირნი.

აეროდრომზე იყვნენ პაკისტანის ელჩი საბჭოთა კავშირში სამიუალ ხან დეკლაკი და პაკისტანელი სტუდენტები, რომლებიც მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

საფრენ მოედანზე ჩამოწკრივდა საპატიო ყარაული და შესრულდა პაკისტანისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ა. ნ. კოსიგინმა და ზ. ა. ბუტომ მიიღეს ყარაულის უფროსის პატაკი, ჩამოუარეს საბჭოთა მეომრ ე ბ ი ს მწყობრს.

